სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/315

ქ. თბილისი 8 ნოემბერი 2018

სტუ-თან არსებული „ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ შექმნისა და მისი

დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-სთან არსებული „ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ გენერალური მენეჯერის, ვ. ბარამიას 08.11. 2018 წ. №01-09-33/6565 წერილისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და BP-ის ერთობლივი პროექტის „საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრი“ ბაზაზე (ათასწლეულის გამოწვევა ფონდი - საქართველოსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 2016 წლის 1 სექტემბრის #120 საგრანტო შეთანხმების თანახმად)შეიქმნას „ტექნიკური გადამზადების“საუნივერსიტეტო ცენტრი და დამტკიცდეს ცენტრის თანდართული დებულება
2. აღნიშნული დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
3. საკითხს სენატის სხდომაზე წარადგენს სტუ/BP-საქართველოს ერთობლივი პროექტის -„საქართველოს ტექნიკური გადამზადების ცენტრის“ გენერალური მენეჯერი, ბ-ნი ვიქტორ ბარამია;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე